HSE Social Inclusion

დაიცავით თქვენი ახალშობილი რესპირატორულ-სინციტიალური ვირუსისგან (RSV)

რა არის RSV?

RSV გავრცელებული ვირუსია, რომელიც ხველას და გაციებას იწვევს. ჩვეულებრივ, ის ზამთარში დაგაზაფხულის დასაწყისში ვრცელდება. RSV-მ ყველაზე პატარა, განსაკუთრებით სამ თვემდე ასაკის ბავშვებში, შეიძლება სერიოზული დაავადება გამოიწვიოს.

ჩემი ბავშვი RSV-სგან რატომ უნდა დავიცვა?

ირლანდიაში ყოველ ზამთარში, ახალშობილი ბავშვების ნახევარი RSV-ით ავადდება. ყოველი ასი ახალშობილიდან, ოთხი RSV-ის გამო საავადმყოფოში ხვდება, ზოგიერთ მათგანს, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში სპეციალური მკურნალობა ესაჭიროება.

RSV-ს სამკურნალოდ სპეციფიკური წამალი არ არსებობს. RSV-სგან თქვენი ბავშვის დასაცავად, საუკეთესო საშუალება იმუნიზაციაა.

ჩემი ბავშვი RSV-სგან როგორ დავიცვა?

თქვენი ბავშვისთვის რეკომენდებულია იმუნიზაცია, სახელწოდებით ნირსევიმაბი. ის თქვენს ბავშვს ზამთრის თვეებში, სერიოზული დაავადებისგან იცავს, რომლებსაც RSV-ის მძიმე ინფექცია იწვევს.

ნირსევიმაბი ბავშვს ერთი ნემსით, ბარძაყში უკეთდება. ეს უფასოა. თქვენს პატარას ამ იმუნიზაციას სამშობიაროდან გაწერამდე შესთავაზებენ.

RSV-ზე იმუნიზაცია ვაქცინისგან განსხვავებულად მოქმედებს. ვაქცინები იმუნურ სისტემას ასტიმულირებს, რათა ინფექციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ანტისხეულები გამოიმუშაოს. ნირსევიმაბი თქვენი ბავშვის დასაცავად, მზა ანტისხეულებს იძლევა.

RSV-სგან ჩემი ბავშვის დაცვას რა სარგებელი მოაქვს?

ზამთრის პერიოდში, როდესაც საზოგადოებაში RSV-ს დონე ყველაზე მაღალია, ნირსევიმაბი თქვენს ბავშვს RSV-სგან მინიმუმ ხუთი თვის განმავლობაში დაიცავს.

ჩვილებს, რომლებმაც ნირსევიმაბი მიიღეს, RSV-ს გამო საავადმყოფოში მოხვედრის 80%-ით ნაკლები შანსი ექნებათ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინტენსიური მკურნალობა დასჭირდებათ და ნაკლებად სავარაუდოა, რომ RSV-სგან გართულებები შეექმნებათ. ის მუშაობას დაუყოვნებლივ იწყებს, ასე რომ, თქვენი ბავშვი დაცულია, როდესაც საავადმყოფოს ტოვებს.

ნირსევიმაბი ჩემი ბავშვისთვის უსაფრთხოა?

დიახ, ყველა კვლევა აჩვენებს, რომ ნირსევიმაბი უსაფრთხოა.

ნირსევიმაბს რა გვერდითი მოვლენები აქვს?

გვერდითი ეფექტები ხშირი არ არის. ნირსევიმაბის მიმღები 100 ჩვილიდან 1-ზე ნაკლებს, შეიძლება ჰქონდეს:

- ინექციის ადგილზე კანის სიწითლე
- დაბალი ტემპერატურა
- მცირე გამონაყარი.

ინექციის შემდეგ თქვენს ბავშვს ყურადღებით დააკვირდებიან.

ნირსევიმაბის იმუნიზაცია RSV-ს ვირუსს არ შეიცავს და RSV-სთან დაკავშირებული დაავადების გამოწვევა არ შეუძლია. თქვენი ექიმი ან მეანი ნებისმიერ შეკითხვაზე გიპასუხებთ.

შემიძლია, სხვა რამ გავაკეთო, რათა ჩემი ბავშვი RSV-სგან დავიცვა?

თქვენი ბავშვის RSV-ს მძიმე ინფექციისგან დასაცავად, ნირსევიმაბი ერთადერთი საშუალებაა. შეგიძლიათ, ხველის და გაციების ფამომწვევი RSV-ისგან თქვენი ბავშვის დასნებოვნების რისკი შეამციროთ, თუ:

- საპნითა და წყლით, ან ალკოჰოლის შემცველი ხელების საწმენდი საშუალებით ხელები კარგად გაისუფთავებთ
- ხალხმრავალ ან გადატვირთულ ადგილებს მოერიდებით
- შეზღუდავთ, ან თავიდან აიცილებთ კონტაქტს ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ და გაციებული არიან, ან სხვა ინფექციები აქვთ.

ნირსევიმაბის მიღება ვისთვის არ შეიძლება?

თუ მეანები ან თქვენი ექიმი ფიქრობენ, რომ თქვენმა ბავშვმა ნირსევიმაბი არ უნდა მიიღოს, ისინი ამას გირჩევენ. ნირსევიმაბით ინექციისას, თქვენი ბავშვი კარგად უნდა იყოს. თუ რომელიმე დაავადების გამო, როგორიცაა სისხლის პრობლემები, ინფექცია, სუნთქვის გაძნელება, ან სისხლში შაქრის დაქვეითება, თქვენი ბავშვი დაკვირვების ქვეშაა, ნირსევიმაბის მიღება შეიძლება მანამ გადაიდოს, სანამ თქვენი ბავშვი კარგად გახდება.

მეტის გაგება სად შემიძლია?

მეანები ან თქვენი ექიმი ნირსევიმაბის იმუნიზაციის შესახებ გაგესაუბრებიან და ნებისმიერ კითხვაზე გიპასუხებენ, რომელიც შეიძლება გქონდეთ. თუ გადაწყვეტთ, რომ თქვენი ბავშვი RSV-სგან დაიცვათ, თქვენი ბავშვის ასაცრელად, სიტყვიერი თანხმობა (ნებართვა) მოგეთხოვებათ.

HSE-სგან დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ
www.hse.ie/RSV

ევროპის სამედიცინო სააგენტოსგან, პაციენტის ინფორმაციის სანახავად, ეწვიეთ:
www.ema.europa.eu/en/medicines/human/EPAR/beyfortus

თარიღი:
პარტიის ნომერი: